თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 4

„20“ თებერვალი 2019 წ.

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი;**
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილ თვალიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;** ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე**, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე**, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **ფიქრია ყუშიტაშვილი,** ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ნუგზარ ბაჩიაშვილი;**
საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე.**
საკრებულოს საფინანსო-სბიუჯეტო კომისიის მოწვეული სპეციალისტი **ლია ფარსადანიშვილი;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი;**
მოქალაქე **მაკა მოსიაშვილი.**

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ პროექტებზე განმარტებები გააკეთეს: ნ.ვაყელიშვილმა, ფ.ყურშიტაშვილმა, გ.ენუქიძემ, გ.თავზერიძემ.

აზრი გამოთქვეს: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხებთან დაკავშირებით ა.შათირიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას მიაჩნია, რომ უსახლკაროთა თავშესაფარით უზრუნველყოფისათვის უნდა გამოიძებნოს სხვა ფორმა, მერიამ და საკრებულომ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ აღნიშნული საკითხის გადაჭრა უახლოეს მომავალში. ამ ეტაპზე კი ფიზიკურ პირებს უნდა გადაეცეთ ქონება მინიმალური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად.
მუნიციპალიტეტის მერიისათვის ს.ს."სილქნეტთან" ხელშკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემასთან დაკავშირებულ პროექტთან კი აღინიშნა, რომ წარმოდგენილი სახით პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა არ არის მიზანშეწონილი, მუნიციპალიტეტმა უნდა მოახდინოს პროექტში აღნიშნული ქონების რეგისტრაცია, ხოლო ამის შემდგომ უნდა განვიხილოთ თუ რა ფორმით მოხდება მისი დაინტერესებული მხარისათვის გადაცემა.

2019 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში ცვლილების შტანის შსახებ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით კი დ.ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მერიის შესაბამის სამსახურებს ცვლილების შტანის გარეშეც შეუძლიათ აწარმოონ სამუშაოები ძეგლთ დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად, შესაბამისად საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანის საჭიროება არ არსებობს.

ნ.ხვისტანმა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხები:

1. ფრაქცია „ძლიერი სოფელი" დაფუძნების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

ხოლო დ.ღაღანიძემ „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ".

გ.მამუკელაშვილმა მოითხოვას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხის „სხვადასხვა" დამატება ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს ინიციატივის გასაჟღერებლად.

ნ.ბაჩიაშვილმა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №69 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ნ.ბაჩიაშვილის მიერ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ა.თხლაშიძემ აღნიშნა, რომ შესაბამის კომისიამ საკითხის განხილვა უნდა უზრუნველყოს საკრებულოს მორიგ სხდომამდე.

გადაწყვიტეს: მიმდინარე წლის 27 თებერვალს, 12.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. ფრაქცია „ძლიერი სოფელი“ დაფუძნების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.00სთ-დან - 12.10 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.10სთ-დან - 12.30 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე
12.30სთ-დან - 12.40 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ფ.ყუშიტაშვილი
12.40სთ-დან - 12.50 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №69 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
12.50სთ-დან - 13.00 სთ-მდე

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა - 13.00 სთ-დან -13.10 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნანა წიწაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.გ.თავზერიძე
13.10 სთ-დან -13.20 სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ალექსი ღარიბაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს.გ.თავზერიძე
13.20 სთ-დან -13.30 სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.

მომხს. გ.თავზერიძე
13.30 სთ-დან -13.40 სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მომხს.ნ.ხვისტანი
13.40 სთ-დან -13.50 სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ.

მომხს. დ.ღაღანიძე
13.50 სთ-დან -14.00 სთ-მდე

11. სხვადასხვა

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე